საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასება

2023 თებერვალი

31.03.2023
www.geostat.ge

31.03.2023

ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასება, თებერვალი 2023

წინასწარი შეფასებით, 2023 წლის თებერვალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდამ 5.8 პროცენტი შეადგინა, ხოლო იანვარი-თებერვლის საშუალო მაჩვენებელი 7.1 პროცენტია.

ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასება, 2023 წელი
წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით
(%)



2023 წლის თებერვალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შემდეგმა დარგებმა: მშენებლობა, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები, ვაჭრობა, ტრანსპორტი და დასაწყობება.

კლების ტენდენცია დაფიქსირდა დამამუშავებელი მრეწველობის, უძრავი ქონების, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობების სექტორებში.

31.03.2023

ყოველთვიური ეკონომიკური სტატისტიკა

თებერვალი 2023

ფასების სტატისტიკის მაჩვენებლები

მაჩვენებელი	წინა წლის შესაბამის თვესთან	წინა თვესთან
სამომხმარებლო ფასების ინდექსი (CPI)	108.1	99.7
სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი (PPI)	99.0	98.7

საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მაჩვენებლები
იანვარი-თებერვალი 2023

მაჩვენებელი	მლნ. აშშ დოლარი	ცვლილება % (წინა წლის შესაბამის პერიოდთან)
საქონლის ექსპორტი (FOB)	914.8	20.3
საქონლის იმპორტი (CIF)	1 983.4	9.0
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	2 898.2	12.3

საქონლით საგარეო ვაჭრობა, 2023

(მლნ. აშშ დოლარი)



31.03.2023

სამეწარმეო სფეროს სტატისტიკის მაჩვენებლები

მაჩვენებელი	თებერვალი
ახლადრეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა (ერთეული)	6 537
ახლადრეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობის ცვლილება წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით (%)	57.3
ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასებისას გამოყენებული დღგ-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვა (მლნ. ლარი)	10 042.4
ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასებისას გამოყენებული დღგ-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვის ზრდა წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით (%)	11.7

დღგ-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვის ზრდა წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, 2023
(%)



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

31.03.2023

სახელმწიფო ბიუჯეტის მაჩვენებლები, 2023

(მლნ. ლარი)



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

საბანკო სფეროს მთლიანი გამოშვება, 2023

(მლნ. ლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

საინფორმაციო ფურცელი

საქსტატი ყოველთვიურად აწარმოებს ეკონომიკის ზრდის წინასწარ შეფასებებს, რომელიც იანგარიშება უწყებრივი სტატისტიკის (დღგ-ის გადამხდელი საწარმოების ბრუნვების, ფისკალური და მონეტარული მონაცემების) საფუძველზე. აღნიშნული შეფასებები წარმოადგენს საერთაშორისოდ მიღებულ პრაქტიკას, რომელსაც იყენებენ მოკლევადიანი წინასწარი ოპერატიული მონაცემების მისაღებად. იმ სფეროებში, სადაც ყოველთვიური მონაცემები (მაგალითად, სოფლის მეურნეობა, დაუკვირვებადი ეკონომიკის მოცულობა) არ მოიპოვება, შეფასება გაკეთებულია წინა პერიოდის მონაცემებზე დაყრდნობით.

გარდა ამისა, ყოველთვიურად შესაძლებელია მოხდეს წინა თვეების დღგ-ის გადამხდელი საწარმოების ბრუნვების კორექტირება, რაც, შესაბამისად, რეალური ზრდის ყოველთვიური წინასწარი შეფასების მონაცემის კორექტირებასაც იწვევს.

საკონტაქტო პირები:

მაკა კალანდარიშვილი
ტელ.: (+995 32) 236 72 10 (302)
E-mail: mkalandarishvili@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი
ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020).
E-mail: mkavelashvili@geostat.ge